«დროების» რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ., 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.
ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

საზაფხულო თეატრი.
დღეს, 25 მარტს, იქნება
**კონცერტი**
მეორე გიმნაზიის მერვე კლასის ღარიბთა მოწაფეთა სასარგებლოდ. მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ბიჩურინისა, ბ.ბ. ლევიცკი, რატილი, კნინა, ბეტინგი, რიაბინინი, კესნერი, დიუმა, კარნოვიჩი, ტხორჟევსკი, იპპოლიტოვი-ივანოვი და პოტაპოვი (არტისტი იმპერატორის ორკესტრისა) და სხ. ბილეთების ყიდვა შეიძლება ლანკოს მაღაზიაში და შავერდოვთან; კონცერტის საღამოს — თეატრის კასაში. (2—2)

ოც-და-ხუთს ამა მარტის თვესა, თერთმეტს საათზედ დილით, ძველს ინსტიტუტის ქუჩაზედ, ბაისოღლოღლოვის სახლებში, თავად-აზნაურობის სკოლაში, იქნება განსაკუთრებითი თავად-აზნაურობის კრება თბილისის მაზრისა განსახილველად და დასამტკიცებლად იმ სიებით გამოსართმევი ფულისა, რომელიც შეადგინა კომისიამ, როგორათაც თავად-აზნაურობის შვილების აღსაზრდელად, აგრეთვე თბილისის კეთილ-შობილთ დეპუტატთ კრების და მარშლების კანცელარიების შესანახავად. ვაცნობებ რა ამას თავად-აზნაურობას თბილისის მაზრისას, ამასაც ვალად ვრაცხ დავუმატო, რომ შემდეგ გათავებისა განსაკუთრებითი თავად-აზნაურობის კრებისა, აღარა ვითარიმე პასუხი და თხოვნა აღარ მიიღების წინააღმდეგ იმ სიებისა, რომელთაც დაამტკიცებს მაზრის თავად-აზნაურობის კრება. (3—3)

## ვისზე უფრო უნდა იზრუნოს ქალაქის თვით-მმართველობამ?

თბილისი, 25 მარტს.

ქალაქის თვით-მმართველობას მთელი ქალაქის მცხოვრებნი ირჩევენ,—ეს ცხადია ყველასათვის. ყოველი სახლის-პატრონი იხდის დაფასების გარდასახადს და ეს დაფასების გარდასახადი ნაწილდება ყველა სადგურებზედ და ხომ ვერც ერთი მცხოვრები ქალაქისა თავშესაფარ სადგურს ვერ ასცდება. მაშასადამე, მთელი ქალაქი უნდა შეადგენდეს ზრუნვის საგანს ქალაქის თვით-მმართველობისას.

ეს ასეა, მაგრამ ხშირად მოხდება ხოლმე რომ მთელი ქალაქის ინტერესი შეეჯახება რომელიმე წოდების, ხელობის, ამქრის ინტერესს,—მაშინ როგორღა უნდა მოიქცეს ქალაქის გამგეობა? ამის განსამარტებელს მაგალითს წარმოგვიდგენს თუნდ წერილი ბ. ჯავახიშვილისა, რომელიც ჩვენის გაზეთის გუშინ-წინდელ №-ში იყო დაბეჭდილი. რაკი სოფელში ვაჭრობა სრულიად დაეცა და ფასი აღარაფერსა აქვს, ჯავახიშვილს და ერთს კიდევ სხვას მოუწადინებია თავის მოყვანილი ღვინის პირდაპირ ქალაქში ჩამოტანა და თითო თუნგობით გაყიდვა. ეჭვი არ არის, რომ ეს საუკეთესო ფორმაა ვაჭრობისა—მწარმოებლისა პირდაპირ მომხმარებელთან მორიგება ჩარჩებისა და შუამავლების თავიდამ აცილებით. მწარმოებელს ჩამოაქვს ქალაქში თავისი ღვინო რუმბებით, მუშტარი მიდის და თუნგობით ყიდულობს იმიტომ კი არა, რომ შემდეგში ერთი ორ-ფასად და ერთ-ნახევრად სხვაზედ გაჰყიდოს, არამედ თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. აქ გამყიდავიც მოგებაშია, მყიდველიც. გამყიდავებს მთელი სოფლელი ხალხი შეადგენს და მყიდველებს მთელი ქალაქის მცხოვრებნი.

მაგრამ არა, ამ უკანასკნელთა შორის არიან იმისთანანი, რომელთაც ესეთი სახელ-და-ხელო ვაჭრობა ზარალს აძლევს, რომელთაც ის უნდათ, რომ თითონვე სოფლებში წავიდენ, თავი-ღვინო ნახევარ და მესამედ ფასად დაიკვეთონ, ჩამოზიდონ ქალაქში, გადაურ-გადმოურიონ, «შეაზავონ» და ბოთლობით მამასისხლად გაჰყიდონ,—ამ გვარად მწარმოებელიც აზარალონ და მომხმარებელიც. ეს წოდება, ეს კასტა—სირაჯების კასტაა.

არ ვიცით, სირაჯების ინტერესის დაცვის გულისათვის, თუ სხვა რაიმე მიზეზით ქალაქის გამგეობას დაუშლია ბ. ჯავახიშვილისათვის ქართველების მოედანზედ ვაჭრობა და თათრის მოედანზედ მიუსწავლებია. თუ ეს ქალაქის გამგეობამ იმიტომა ჰქნა, რომ ერთ ადგილას ვაჭრობა მოუხერხებელი იყო სივიწროის გამო, ან ქალაქში სისუფთავის დაცვისათვის,—ეგ სხვაა, მაშინ ხმა აღარ ამოგვეღება; მაგრამ, თუ ეს მხოლოდ თავის ნებობაა ქალაქის გამგეობისა, ან თუ ეს იმიტომ მოახდინა, რომ სირაჯებს, ან სხვა ამქარს ხელი არ შეუშალოს, მაშინ კი თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ქალაქის გამგეობას ისე ვერ უმოქმედნია, როგორც მთელი ქალაქის ინტერესი მოითხოვს. აქაო და სირაჯები მეტს ხარჯს გვაძლევენო,—ქალაქის ღარიბ-ღატაკ მცხოვრებთ არ უნდა ვაყენოთ ზარალი.

«დროების» ფელეტონი, 25 მარტი.

### საბრუას სახლ-კარობა და შეძლება.

მე მუშა კაცი გახლავარ, გლეხი ვარ, გლეხად შობილი,
არა ვარ ღვთის მომდურავი, არა ვარ გულ-ჩათხრობილი.
ჩალური სახლი მიდგია, ხულა, დერეფნით სრულია,
სხვენი აქვს წითლის ფიცრისა, კედლები—გამოწნულია!.
წინ და გვერდებზე კარები, ურდულად დიდი გეტია,
ხულის კარებს კი რაზა აქვს, შიგნიდგან დასაკეტია.
შიგ შუა სხვენში ჰკიდია ჩალხანის საკიდარი,
ხულისკენ—თარო, ჯამ-ჭურჭლით და კრუხის საბუდარია...
კერასთან შუა-ბოძია, ბოძთან — ძმრის ქოცო თხლიანი,
ბოძს უკან—ფქვილის გოდორი და კოდი ბარაქიანი!.
უღელი ხარი კარზე მყავს, ძროხა და ერთიც ფურ-ზაქი,
ქათმები, კრუხ-წიწილები, ქოსმანად—ერთი ბურვაკი!..
ვცხოვრობ ბეჩავი, ღვთის მადლით, არ გამტეხია გულია,
ნუ გეგონებათ, შავმინდე, ჯაფისგან მოქანცულია!..
საღამო ხანზედ, ცოლშვილით, რომ მოვუჯდები კერასა,
მჭადს და ლობიოს მოვიდგამთ, ღვინოზე ვიწყებ მღერასა!
დავაგურგურებ დიდს სათარს, ბალღებს მივაწვენ ჩულებზე,
მეც იქვე წამოვგორდები, არასა ვდარდობ ფულებზე!...
მე დედა-მიწის მებრძოლი, გლეხი ვარ, გლეხად შობილი,
არა ვარ ღვთის მომდურავი, არა ვარ გულ-ჩათხრობილი.
მაგრამ, რომ ვშრომობ დღე და ღამ,—ნეტავი გამაგებინა—
ე სიღარიბე რას დამდევს?—წამი არ მასუნთქებინა!..
სჩანს შავი მიწის ბრძოლასაც, ზოგჯერ არა აქვს ხვავია...
მაგრამ რა ვუყო ბეჩავმა, ვის ვუთხრა სამდურავია?..
წელს კი—უნდა ვსთქვა სულს ქვეშა—მიწას არ უმტყუნებია:
პური და ღვინო მოვიდა, ნიგოზი, ბლომად ლებია.
ვცხოვრობ ბეჩავი, ღვთის მადლით, არ გამტეხია გულია,
ნუ გეგონებათ, შავმინდე, ჯაფისგან მოქანცულია!..

თ. რაფ. ერისთავი.

### კვირის საუბარი.

ზრდილობიანი ცილის-წამება.—უზრდელი შარი.—ქიზიყის ახალი ვარსკვლავი.—თბილისის გალაშქრება რეგენობის საბძანებლისაკენ.

ჩვენი გაზეთის ახალი რედაქცია ბევრს არ ეპიტნავება. ზოგი იძახის, რომაო გაზეთმა ერთობ ფეხი აიდგა და თითქმის არც ერთს დღეს არ ისვენებს, მუდამ მოგვდისო, ასე რომ თითქმის ძალაუნებურად კითხვას მიგვაჩვიოსო. ზოგი იმდურება, რომ სულ რაღაც ნაირ თავის სატეხ საგნებზე სწერენ და ლაქლანდარობა თითქმის გააძევეს თავიანთ ფურცლებიდამაო. ერთს უნდა, რომ ჩვენი გაზეთი დღეში ორჯელ იბეჭდებოდეს: ერთი ხელობა დილით და ერთიც საღამო ხნობით. მეორე გულზე სკდება, რომ გაზეთს პირში სული უდგა და გაჩუმებას სრულებით არ აპირობს.. არა თუ გაჩუმებას, უფრო ენის ამოდგმისაკენ მიილტვის. მესამე ცხვირს იტრუკავს, რომ ჩვენ გაზეთში არ არის ხოლმე მსჯელობა მაღალს პოლიტიკურსა და სოციალურს ვითარებაზე, არ არის ბაასი სხვა-და-სხვა ფრთოვან თეორიებზე. მეოთხე გვემდურება, რომ ჩვენს გაზეთს ვერ ამოუღია ხმა ჩვენი შინაგანი ცხოვრების უმთავრესს კითხვებზე. მეხუთეს ველარა გაუწყვია-რა და ტყავიდამა ძვრება, რომ მოგვიგონოს რაიმე ცილის წამება. მეექვსეს?... ეჰ, ვინ ჩამოსთვლის, რასა და რას თხოულობენ ჩვენგან ათასი ჯურის მკითხველები!...

იმის მეტი არა გვეთქმის-რა ამ საყვედურებზე, რომ ყველანი მართალნი არიან შესახებ ჩვენი გაზეთისა, იქამდის მართალნი, რომ თითონაც კი არ იციან მთელი ზომა თავიანთ სიმართლისა. ჩვენ თითონა ვგრძნობთ, რა აკლია ჩვენს გაზეთს, ვიცით, როგორც ეშველება ამ ნაკლულევანებას; მაგრამ ამასთან ბევრი ისეთი რამაც ვიცით, რომელიც ჩვენში მხოლოდ კალმის წვერს კი მოადგება ხოლმე და არამც თუ დაბეჭდით, არამედ დაწერითაც კი არ დაიწერება.

«ასეა ეს სოფელი
არვისგან მიუნდობელი.»

მხოლოდ ერთს კი ვერ ვიყაბულებთ. რაც გინდ სუსტნი ვიყვნეთ, რაც გინდ პირში ბურთები გვქონდეს გაკეთებული, მაინც მოვახერხებთ, რომ ცილის-წამება ღირსეულად დავაჯილდოვოთ, თუნდაც რომ ეს ცილის-წამება იყოს საგანგებოდ ზრდილობიანი, თავაზიანი, კეკლუცი, ლამაზი რამ ცილის-წამება, აი, გინდა ისეთი, როგორიც «ახალმა მიმოხილვამ» გაიმეტა ჩვენთვის...

***

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხს უძნელდებენ საშუალებას პირდაპირ მწარმოებლისაგან ღვინის ყიდვისას. ეს იმას ევნება, რომ მზამზარეული ჩექმების, ან ტანისამოსის მოტანა და იაფად გაყიდვა დაუშალონ, რადგან მკერვალები და ხარაზები ქალაქის სასარგებლოდ უფრო დიდ-ხარჯს იხდიან. ევნება კი არა, — უარესიც იქნება, რადგან ხარაზები და მკერვალები კიდევ მუშაობენ, მწარმოებელთა დასს ეკუთვნიან და რა დასს ეკუთვნიან სირაჯები და სხვა ამ გვარი ჩარჩები, ეს წელანვე განვმარტეთ.

ამ უბრალო მაგალითს იმიტომ მივაქციეთ მკითხველის ყურადღება, რომ თვალნათლივ დაგვენახვებინა უფლება და მოვალეობა ქალაქის გამგეობისა. ეს უეჭველია, რომ ქალაქის გამგეობას შეუძლიან ის ადგილი მიუჩინოს მოვაჭრეთ, რომელიც თითონ ემარჯვება; ამ უფლებას ვერავინ შეეცილება, მაგრამ უფლებასთან ის მოვალეობაც აწევს მას, რომ, რაც შეიძლება, მეტად გაუმართოს ხელი ქალაქის შეუძლებელ ხალხს და ამისათვის მეტი ადგილი დაუთმოს სოფლის მწარმოებელთ, მეტი მზრუნველობა გამოუჩინოს. ამით იგი, მართალია, სირაჯებსა და ალაფებს ვერ აასიამოვნებს, მაგრამ ლუკმას მაინც არ გაუწყობს ყოვლად შეუძლებელ მოქალაქეებს. სირაჯებს და ალაფებს მხოლოდ ასობით ჩამოსთვლით, შეუძლებელ მოქალაქეებს კი ათი-ათასობით.

## შინაური ქრონიკა

≈≈ მთავრობას, როგორც შევიტყეთ, კარგის თვალით შეუხედავს აქციზის წესის შეცვლისათვის კავკასიაში ამ საქმის გარჩევის დროს, ასე რომ ვენახის პატრონებს ნება მიეცემათ თურმე, რომ თავიანთ საჭიროებისათვის თავიანთსავე ჭაჭა-თხლისაგან ჰხადონ რამდენიც უნდათ არაყი ბაჟის გადაუხდელად.

≈≈ ჩვენი ქვეყანა ბევრგან ძალიან საჭიროობს რიგიანს გზებსა. ამ საჭიროებისითვის მიუქცევია ყურადღება მთავარმართებელს თ. დონდუკოვ-კორსაკოვს, გამოუთხოვია მთავრობისაგან რამოდენიმე სუმა ახალი გზატკეცილების გამოსაყვანად და მთავრობასაც მისი თხოვნა შეუწყნარებია.

≈≈ ხოტლის თანაგრძნობის ღირსია ის კონცერტი, რომელსაც ამაღამ მართავენ საზაფხულო თეატრში და რომლის წმინდა შემოსავალი უნდა მოხმარდეს მეორე კლასიკურ გიმნაზიაში კურს-შესრულებულ ღარიბ მოსწავლეთა. ამ უკანასკნელთა რიცხვი ათამდეა და ყველასა სურს, რომ საშუალო სასწავლებლებში კურსის გათავების შემდეგ უმაღლესს სწავლასაც ეღირსოს, მაგრამ საშუალოების უქონლობა ყველას გზაზე გადალობებია. საზოგადოების თანაგრძნობაზედ არის დამოკიდებული—პირველ ნაბიჯთანვე დაჰხვდებათ ამათ დაბრკოლება, თუ იმდენი მაინც შემოვა კონცერტიდამ, რომ სამგზავრო ფულად მაინც ეყოთ.

≈≈ «წერა-კითხვის საზოგადოების» მმართველობას დაურიგებია ამორჩეულ პირთათვის თავის აგენტად მოწვევის წერილები და აგრეთვე მათთვის შედგენილი ინსტრუქცია. ამ ინსტრუქციიდამ ცხადადა სჩანს, თუ რა დიდი და ჩინებული მოვალეობა უნდა იკისრონ აგენტებმა და თუ ეს მოვალეობა მათ რიგიანად შეასრულეს, როგორ მკვიდრ საფუძველზედ შეიძლება დამყარდეს ჩვენში წერა-კითხვისა და მწიგნობრობის საქმე. აი ეს ინსტრუქცია სიტყვა-სიტყვით:

ინსტრუქცია წერა-კითხვის საზოგადოების აგენტებისათვის. პირველი მოვალეობა ყოველი აგენტისა ის არის, რომ შესძინოს წერა-კითხვის საზოგადოებას ახალი წევრები. იგი ერთგულად ცდილობს აღძრას მხურვალე თანაგრძნობა ადგილობრივ საზოგადოებაში წერა-კითხვის საზოგადოების საგნისადმი და გაუღვიძოს სურვილი, რაც შეიძლება, მრავალთა პირთა საზოგადოების წევრად გახდომისა. ის პირნი, რომელნიც მოისურვებენ საზოგადოების წევრობასა, ჩაწერილი იქმნებიან ცალკე წიგნში აგენტისაგან და მისგანვე შერიცხულნი კანდიდატებად. ამ კანდიდატების სიას აგენტი უგზავნის მმართველობას, რომელიც წარუდგენს მას საზოგადო კრებას კანდიდატების წევრად ასარჩევლად. აგენტი ცდილობს, რომ კანდიდატები და წევრები საზოგადოებისა ეხმარებოდენ მას არა მარტო საწევრო ფულის დროზედ შემოტანით, არამედ ყოველი ღონის-ძიებით, რომელიც კი სასარგებლო იქნება საზოგადოების დანიშნულების შესრულებისათვის.

მეორე მოვალეობა აგენტისას შეადგენს «საზოგადოების» ქონებრივი შეძლების მომატება, ამისათვის იგი: ა) ყოველს შემოდგომაზედ ჰკრებს კანდიდატებისა და წევრებისაგან საწევრო ფულსა და უგზავნის მმართველობასა. ყოველს ფულის შემომტანს კანდიდატსა და წევრსა აგენტი აძლევს კვიტანციას იმ წიგნიდგან, რომელიც მას ექნება გაგზავნილი მმართველობისაგან საწევრო ფულის ჩასაწერად; ბ) მართავს, წევრების დახმარებით, სპექტაკლებსა, სალიტერატურო საღამოებსა, ბალებსა და სხვათა საყოველთაო გასართობთა საზოგადოების სასრგებლოდ და უგზავნის მმართველობას სრულს შემოსავალსა და ამასთან ვრცელს ანგარიშსა ხარჯისა და შემოსავლისასა, რომელიც იბეჭდება ქართულს გაზეთში.

შენიშვნა: ყოველი აგენტი უგზავნის საზოგადოების მმართველობას შეკრებილ ანგარიშს ყოველს სამ თვეში ერთხელ: არა უგვიანეს ყოველ 1-ს იანვრისა, 1-ლს აპრილისა, 1-ლს ივლისისა და 1-ლს ოკტომბრისა.

მესამე მოვალეობა აგენტისა არის გამართვა წიგნთა საწყობისა და მათი გაყიდვა ან თვითონ საწყობიდგან, ან ჩაუკეთესო მაღაზიების შუამავლობით და ან კერძო პირების მონაწილეობით. გასასყიდი წიგნები აგენტს მისდის მმართველობისაგან და იგი ჩასწერს მათ განსაკუთრებულს დავთარში. ის პირნი,

---

და რამდენადაც ცილის-წამება, მეტადრე ზრდილობიანია ცილის-წამება, მოქცეული ჩვენის რედაქციისადმი, არ არის ეგრე რიგად სანუკარი რამ მოვლენა; ამდენად და ამაზედ უფრო მეტადაც საზიზღარია ის უზრდელი შარი, რომელიც მოგვიდეს მთელს ქართველობას ზოგიერთმა რუსეთულმა გაზეთებმა.

გარდაიცვალა გენერალი ფადეევი. მთელმა რუსეთის ჟურნალ-გაზეთებმა დიდის პატივისცემით მოიგლოვეს განსვენებული; მოიგონეს მისი თავგანწირული ღვაწლი სამშობლოს ბედნიერების ტაძარზე; ძვირად დააფასეს მისი პატიოსნება და ერთგულება ყველა საქმეში. ამ სახით, კაცი, რომელიც სიცოცხლის დროს დევნილი იყო თავის სიმართლისთვის ჟურნალ-გაზეთებისა და უმაღლესი წრეების მიერ, სიკვდილის შემდეგ თითქმის ცამდის აყვანილი შეიქმნა. ყველაზე ძალიან ფადეევის სასარგებლოდ ამტვრევდა კალმის წვერებს მეტად ლიბერალური და გავრცელებული დიდი გაზეთი «Новости»...

ეს კალმის მტვრევა ჯერ არ შეწყვეტილიყო, რომ ბ. აქსაკოვმა დაბეჭდა თავის ჟურნალში ფადეევის წერილი შესახებ იმ ცვლილებათა, რომელნიც საჭირონი არიან კავკასიის უკეთესი მმართველობისთვის. ამ წერილში განსვენებულს გენერალს ერთი ორი თბილი სიტყვა წამოსცდა ქართველობისთვის და ამავე დროს მეტად მწარედ იხსენიებდა ს—ობას...

«Новости» მაშინვე გაგვიხელტა სელიდამ, გადატრიალდა პირქვე, დახუჭა თვალები და ვინ იცის, რას არ მოჰყვა: ფადეევის პატივის-ცემაც გვერდზე გადადო, ჭეშმარიტებაც და სამართლიანობაც მიაფუჩეჩა სადღაც ჯურღმულში და ისეთი ლექსების წერა დაიწყო, რომ მარტო გამოთაყვანებელს და გამოშტერებულს გაზეთს თუ შეჰშვენის. აქაო და განაწყენებული ს—ები დავიფაროვო, ადგა და ჩვენ დაგვიწყო წიხლის დაკვრა, პანღურის ცემა.

«რადა? რისთვის!?
ვისრა ვერი მოვპარეთ»!..

ს—ბის წასარჩლება ჩვენ ძალიანაც გვიამა, მაგრამ ის კი არაფერია, თქვენმა მზემ, რომ აგვიღო მთელი ქართველობა და თავის უმეცრების გუდა ნაბადი ზედ დაგვაბერტყა. თუ სიკეთე გინდა, იხმარე კეთილშობილური და სამართლიანი ღონისძიება. გაამტყუნე მკვდარი კაცი, თუ ცოცხლებს ვერას უბედავ; სთქვი, რომ ს—ბიც ისეთივე თავის-მოყვარე ხალხია, როგორც სხვა ხალხი, იმასაც სხვასავით აქვს ნება რიგიანი ცხოვრებისა, მასაც ხელის შეწყობა ეჭირვება და სხვანი. თუ არა და შარი რა საკადრისია, თქვენა გკითავთ! ქართველობა ძალიან ცოტაა კავკასიაშიო და ს—ობა ბევრიო—იმათ ეკუთვნიან თითონ ს—ები, ოსები, ქურთები, თათრებიო. დაჰვიწყებოდათ, ეთქვათ, რომ აქაური ფრანცუზ-ნემეც-ინგლისელებიც სულ ს—ები არიან. ძალიან კარგი. ნეტავი ს—ობა ათი იმდენი იყოს, რაც ეხლაა. ჩვენ რა? ნუ თუ ამისთვის ჩვენა ვკარგავთ ნებას ცხოვრებისას! ახირებულია თქვენმა მზემ. ქართველები ცოტანიც არიან და ძალიან უნიჭონიცაო, ს—ები-კი ძალიან ნიჭიერნიო. ღმერთმა მშვიდობა მისცეთ. ჩვენ ძალიან უნიჭონი ვართ, მაგრამ, ეს ოხერი, სწავლის ხალისი კი ძალიან გაგვიჯდა გვერდებში. ნუ გადაგველობებით გზაში, ეგება ჩვენც ვისწავლოთ რამ და ამით მაინც შევამსუბუქოთ ჩვენი დიდი დანაშაულობა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ნიჭი არა გვქონია. უნიჭონი ვართ, მაგრამ ცხოვრების სიტკბოებას ძალიანა ვგრძნობთ და ამიტომ გთხოვთ უმორჩილესად, ნუ დაგვიშლით ვაჩანჩალოთ ჩვენთვის დღენი ჩვენნი...

ასეთი საკვირველი ამბავი კი მოხდა, ჩემო ბატონებო. ჯერ რაღაც შარებს გვიდებენ, მერე ჩვენვე გვპანღურავენ და ამით უნდათ შეეწიონ ს—ებს, რომელნიც, ღვთის წინაშე, მართლა და უსამართლოდ არიან განკიცხულნი ფადეევის მიერ. მაგრამ ჩვენი რა ბრალია, რომ ფადეევს ჩვენ უფრო მოვწონებივართ, ვიდრე ს—ბი! დიდება შენთვის, ღმერთო! აგერა, ევროპიელი მაწანწალა კუტულის კიდე ხომ ს—ები მოსწონდა და ჩვენ კი სულ ზურგზე ბოლი აგვადინა. მაგრამ იქ მარტო კუტულია პასუხის მგებელი თავის საქციელში, და არა ს—ები!..

ერთი სიტყვით, «Новости» ძალიან ჩაეფლო ურიგობის მორევში და, მგონი, ბევრი პატიოსანი ს—ხი ჰლანძღავს მას იმ გვარი წასარჩლებისთვის, რომელიც ჰბადებს ორს მეზობელ ხალხს შორის სიმძულვარესა და მოურიგებლობას...

***

მაგრამ ნეტავი ვიცოდე, ამ გაზეთების ლაპარაკსა და ყბედობას აკვირდებოდა ის ახალი ვარსკვლავი, რომელიც ეხლახან აღმობრწყინებულა სიღნაღის ცაზე, თუ ის ვარსკვლავი თავისთვის არხეინად ანათებს მიხიყის კუკუმეთსა და ფილოსოფიური სიმაღლიდგან დასცქერის ქვეყნის მოუსვენარს ტრიალს? მე მოგახსენებთ ბ. ტუჩიკაშვილზე თავისი პატიოსანი ამხანაგობით. მე შორიდამ მაყურებელი კი ვარ, მაგრამ მგონი არა ვცდებოდე, რომ ბ. ტუჩიკაშვილი უთუოდ კოსმოპოლიტი უნდა იყოს. იგი ზიზღით უნდა შეჰყურებდეს სხვადასხვა ნაციონალურს თავ-მოყვარეობას და იმისთვის სულ ერთი უნდა იყოს—ქართველთან ექნება საქმე, სომეხთან, ყიზილბაშთან, რუსთან თუ თათართან. მზეო, გვეუბნება სახარება, ერთნაირად ათბობს ღარიბსაცა და მდიდარსაცაო. მაგრამ ასეთი მიუდგომელობა მარტო მზეს კი

რომელთაც აგენტი ჩააბარებს წიგნებს გასასყიდად. საკამმისიო ფასად მიიღებს მისგან მანეთზედ არა უმეტეს ორის შაურისა.

მეოთხედ, აგენტი ვალდებულია ჩააგონოს სოფლის საზოგადოებათა, რათა დაარსონ სკოლები წერა-კითხვის საზოგადოების სახელობაზედ. იგი ამ შემთხვევაში ან თვითონ იმოქმედებს პირად სოფლების საზოგადოებაზედ და ან რომელიმე გავლენიანი წევრის შუამავლობით შეადგენინებს განჩინებასა. ეს განჩინება სკოლის გახსნის შესახებ უნდა იქმნას შედგენილი იმ აზრით და იმ რიგზედ, როგორც არის შედგენილი მმართველობისაგან ნიმუში განჩინებისა, რომელიც გეგზავნება ყოველს აგენტსა. აგენტი ვალდებულია სახეში იქონიოს, რომ სკოლის წარმოობისა და წარმატებისათვის საჭიროა,—სოფელმა სკოლის ხარჯად წელიწადში გაიწეროს არა ნაკლებ ოც-და-ათი თუმნისა. ამიტომ სკოლების გასახსნელად იგი ჯერ-ჯერობით ირჩევს დიდს სოფლებსა, რომელთაც არ გაუჭირდება წელიწადში ოც-და ათის, ორმოცის თუმნის და მომეტებულის გარდახდა. სოფლის განჩინებას აგენტი უგზავნის მმართველობასა, რომელიც ამტკიცებინებს მას მთავრობასა.

მეხუთე მოვალეობას აგენტისას შეადგენს თვალ-ყურის დევნა საზოგადოების სახელზედ გახსნილი სკოლებისა. იგი, რაც კი შეიძლება, ხშირად დასჯდავს ამ სკოლებსა, გაამხნევებს მასწავლებლებსა, ეცდება ყოველი დაბრკოლება აიცილოს მათ თავიდგან, აცნობებს დროზედ მმართველობას სკოლების საჭიროებას მდგომარეობას და ზრუნავს მათ წარმატებისა და ნაყოფიერებისათვის. მას აგრეთვე თვალყური უჭირავს სხვა სახალხო სკოლებზედაც, აქვს დაახლოვებითი კავშირი მათ მასწავლებლებთანა, ტყობულობს ამ სკოლების გაჭირვებასა საზოგადოდ და ქართული ენისას კერძოდ და ცდილობს ან თვითონ დაეხმაროს და ან მმართველობას აცნობოს ეს გაჭირვებანი.

მეექვსე მოვალეობად აგენტი უნდა სთვლიდეს საკვირაო სკოლების გახსნას, სახალხო ბიბლიოთეკებისა და სახალხო სასაუბროების გამართვასა, რის შესახებაც მას მიუვა ცალკე წესდება.

გარდა ყოველი ამისა, აგენტი ვალდებულია გამოიწვიოს მომზადებულნი პირნი ხალხის სიტყვიერი ნაწარმოების შესაკრებლად იმ პროგრამმით, რომელსაც მას გაუგზავნის მმართველობა.»

≈≈ სიღნაღში ამ დღეებში ერთს ახალგაზდა სომეხს მედუქნეს, ერთი კვირის დანიშნულს, თავი მოუკლავს. როგორც იწერებიან, იმის შემდეგ, რაც დაინიშნა, დუქანში აღარ წასულა, სულ დაღონებული დადიოდა და ბოლოს თავის ხელით ხანჯალი დაიკრა.

≈≈ მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, დილის თერთმეტ საათზედ, სათავად-აზნაურო სკოლის ზალაში არის ყრილობა ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა სასწავლებლის დასაფუძნებლად საჭირო ფულის გასაწერად.

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! *)

თქვენი პატივცემულის გაზეთის 57 №-ში მე წავიკითხე ამბავი, მოწერილი ახალ-სენაკიდან თ. მ. მ—ძის მიერ მომხდარის უწესოებისა. მე მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს, როგორც დამწრემ ამ საქმეში, ცხადის საბუთებით აღვადგინო ჭეშმარიტება, რადგანაც «დროების» მე 57 №-ში ამბავი ნამდვილად არ არის გადმოცემული. მე ბ. მ. მ—ძის გამართლებას კი არა ვკითხულობ, არამედ მსურს ეს საქმე წარვუდგინო საზოგადოებას ისე, როგორც მოხდა.

აი საქმე როგორ იყო:—მე ვიდექი ერთს იმ სასტუმრო სახლის ოთახში ახალ-სენაკს, სადაც ეს ამბავი მოხდა. იმ საღამოს ჩემთან შამოვიდნენ ბ.ბ. ვიკტორ იოსელიანი, ადგილობრივი ნოტარიუსი «ნიკოლა ჭუჩუქოვი, აგენტი სახელმწიფო ქონებათა მმართებლობისა, ვლადიმირ ცილოიავუს, ბუჰლალტერი და ნესტორ დგებუაძე, აქაური აზნაური. როცა შეიქნა 11 საათი ღამისა, ჩემის ოთახის გვერდით ოთახიდან მოგვესმა ლაპარაკი. ყველამ მივაქციეთ ყურადღება ამ ლაპარაკს და, რადგან ჩემსა და იმა ოთახ შუა იყო მხოლოდ ერთი ფიცრული კედელი,—ძალიან გარკვევით გავიგონეთ ქალის მიერ წარმოთქმული შემდგომი სიტყვები: «მე ულმერთო, მე მამასავით მიმაჩნდი და რა მესმის თქვენგან“! კაცის მხრით იყო ლაპარაკი ძალიან ჩუმი და ვერა გავიგონეთ რა. შემდეგ რამოდენიმე წამისა, ისევ განიმეორა ქალმა ეს სიტყვები და თან დასძინა მაღლის და ფიცხელის ხმით; «რა ულმერთობა მესმის ამ უბედურისაგან! — მასპინძელო, მასპინძელო»!—ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ იმ ოთახში, საიდამაც ეს შესაწუხებელი ხმები მოისმოდა, იდგა მ. მ—ძე და ახალგაზდა ქალი, მისივე ცოლის დის-შვილი, და ამისთვის ყველა იქ მყოფთათვის ცხადი იყო, მ. მ—ის მხეცური აზრი. ყველანი იმწამსვე ავდექით და გამოვედით ოთახიდან. მე მივმართე მ. მ—ძის ოთახის კარებს, რომელიც დაკეტილი იყო, და ზედ კარებთან გარედგან იდგა სასტუმრო სახლის პატრონი და ყურს უგდებდა. მე ვსთხოვე სახლის პატრონს, რომ კარები შეემტვრია, თუ გაღება არ შეიძლებოდა; მაგრამ კარები იმავ წამს გაიღო და გამოვიდა ოთახიდან პერანგის ამარა ქალი, სწორედ დიდის აღელვებულის სახით, მაგრამ არ იყო «მძიმეთ გალახული, ტანისამოს შემოფხრეწილი, სრულებით გრძნობა მიხდილი, დაგლეჯილ-დაწეწილი და სისხლში მოსვ-

*) ვაძლევთ ამ წერილს ადგილს, რადგანაც იგი უფრო დალაგებით და დაწვრილებით მოგვითხრობს საქმეს. ეს წერილი ერთობ ნათლად ამტკიცებს თ. მ—ძის განძრახვას, რომელიც სისრულეში არ იყო მოყვანილი. როგორც სჩანს, პირველს შენიშვნაში ზოგიერთა შეცდომანი იყვნენ, თუმცა იქაც არ იყო ნათქვამი, ვითომც ქალი გაეუპატიურებინოს მ. მ—ძეს.

რედ.

---

არა, ვარსკვლავებსაცა ჰკრეფით. და რადგან ბ. ტუჩკაშვილის ვარსკვლაობაში ეჭვს ძნელად თუ ვინმე შეიტანს, ამიტომ ისიც მიუდგომელი კაცი უნდა იყოს და ყველასაგან ერთნაირად უნდა ჰკრეფავდეს სასყიდელს, როგორც მზე ყველასაგან ჰკრეფავს მადლობასა და სიყვარულს. მარტო ასეთი მიუდგომლობით უნდა ავხსნათ ბ. ტუჩკაშვილის საქციელი, მაგ., ჭოტორის სოფლელებთან. კორესპონდენტი გვწერს, რომ შარშან ბ. ტუჩკაშვილმა ჩამოართო ჭოტორელებს თამასუქი, რომელშიაც სარგებელი წინადვე გამოართვა, და ფული უნდა შეეტანა ხაზინაში, გლეხების მაგიერ, რამდენიმე თვის წინ. მაგრამ ბ. ტუჩკაშვილმა სარგებელი აიღო ფულზე, რომელიც არც გლეხებისათვის მიუცია და არც ხაზინაში შეუტანია. როდესაც თამასუქს ვადა გაუვიდა, ჭოტორელები დიდის მოკრძალებით ეახლნენ თავის მწყალობელს, ჩააბარეს თამასუქში მოხსენებული ფული და დაბრუნდნენ შინისკენ. თურმე სიღნაღის თავში რომ ამოვიდნენ, ერთმანეთს თითითაც აჩვენეს გახარებულებმა: «აგე, ძამიავ, ჭოტორიო»! ვარსკვლავმა ტუჩკაშვილმა კი შეანათა სიღნაღის ხაზინაში და მხოლოდ მაშინ წარადგინა ჭოტორელების ფული. კორესპონდენტს ეშინიან, რომ მაღაროელებსაც ასეთს საქმეს დაჰმართებსო. იმათაც ჯერ მოწყალე თვალით გადახედა, მისცა პირობა, რომ თქვენ მაგივრად მე გაგისტუმრებთ ხაზინასაო, ხოლო თქვენ ექვსი თვის შემდეგ წარმომიდგინეთ ჩემი ფულიო, და რადგან მე ეს ფული ეხლა შემაქვს ხაზინაში, ამის სარგებელი ოცდა-ათი თუმანი მამეცითო. მაღაროელებს სირინოზის ხმად ჰსმენიათ ბ. ტუჩკაშვილის ტკბილი საუბარი, მიუციათ მისთვის სარგებელი 300 მანათი და ექვსი თვის თამასუქი. კორესპონდენტი ეჭვობს, ბ. ტუჩკაშვილი გროშსაც არ შეიტანს ხაზინაში ექვსი თვის გასვლამდისო, ე. ი. მანამ გლეხები არ გაისტუმრებენ მას და თამასუქს არ დაიბრუნებენო.

იქნება, მართლაც ასე მოხდეს, მაგრამ ვითომ აქ რა არის საშიშო! მაღაროელების უნებურად რომ იქცეოდეს, მაშინ სხვა არის. და თუ კი ის მოახერხებს, რომ ექვს თვემდის ფული არ ჩააბაროს ხაზინას, ეგ იმისი საქმეა. მაღაროელებისთვის ხომ სულ ერთია—ბ. ტუჩკაშვილი ამოიღებს თამასუქში დასახელებულს ფულს ჯიბიდამ და შეიტანს ხაზინაში, თუ სრულებით პირსაც არ მოუხსნის ამ ჯიბეს. 300 მან. სარგებელი იშოვნეს გლეხებმა და ჩააბარეს თავიანთ მანუგეშებელს. ახლა ექვსს თვეზე თავნსაც უშოვნიან და მიუტანენ. რომ არ მიიტანონ, მაშინ, რასაკვირველია, აღარც ბ. ტუჩკაშვილი-და შეიტანს ხაზინაში და ამით განსაცდელს ასცდება, ჰამ 300 მანათიც შერჩება. აქ სულ ჰკვის საქმეა. სამწუხარო კი არა; ასეთი საქციელი საქებური და წასაბაძია. აბა სხვებმაც მოახერხონ, რომ სულ არა რაიმეში 300 მან. სარგებელი ჩაიჩხრიალონ ხალხისაგან და თანაც ეს ხალხი თითონვე ჰგრძნობდეს თავს დამუნათებულს! აკი ვამბობ, სულ ნიჭის საქმეა. ნეტავი ქიზიყს, რომ ასეთი დიდება შეუძენია!...

***

ეხლა მაინც ისეთი დროა, რომ ჩვენი ქალაქები და სოფლები ერთმანეთს ექიშპებიან—ვინ წინა და ვინ უკანაო. ჩვენი ქვეყნის დედა ქალაქი ტფილისიც არ აპირებს, ვისმეს უკან ჩამოუვარდეს. ამ დღეებში მეტადრე იმან ისე იჩინა თავი, რომ არა მარტო ჩვენი ქვეყნის ჟურნალ-გაზეთები, არამედ მთელი ქვეყნისა ილაპარაკებენ მის გმირობაზე. სულ რაღაც ასიოდე ურიაა ტფილისში. მოდი და ნუ აგრძნობინებ ამ ერთს მუჭა ხალხსა, რომ მეც დიდი ქალაქი ვარო და სთრთოდე წინაშე ჩემსაო. რად უნდა თრთოდეს ურია წინაშე ტფილისისა, ვისთვის არის ეგ საჭირო, ამაზე პასუხს გაგცემენ ჩვენი მედუქნეები, ყასბები, ჭონები და სხვ. დარბაისელნი, რომელთა შორის კარგა ბარაქიანი ადგილი უჭირავთ აქაურს ცილინდრიანებსაც. როგორ! ურია დაინახო და შეარჩინო მას ეს დანახვა, შეარჩინო, რომ შენმა პატიოსანმა თვალებმა ვიღაც კიკინებიანი დაინახოს! დიახ, დიახ!..... ურიის დანახვაზე უთუოდ რაიმე ნაცილი უნდა გამოუგდო მას და უცეცხლოდ დაუწვა ჟამთა ვითარებით გაპობილი და დამწვარი გული. თუ კი ეს ათას ცხრაასი წელიწადია, რაც ურიებსა სტანჯავენ ყველა ხალხები, ყველა ქალაქები; თუ კი მათ უგონებენ საშინელს ჭორს, ვითომც იგინი ხმარობდენ ქრისტიანის სისხლსა; თუ კი ამ ჭორის მოგონებით მრავალჯერ დაუტანჯავთ და ამოუწყვეტიათ ურიები, მაშინ—როდესაც ცილის მწამებლებს თითქმის არავითარი სასჯელი არ მიუღიათ; თუ კი ბრიყვსა და რეგვენს ხალხს დააჯერებ ამ სიცრუეში, რადგან იგი სწამს მას, მიუხედველად იმისა, რომ მთელს დედა-მიწის ზურგზე არც ერთი ასეთი ბრალდებულება არ გამართლებულა ამ ათას ცხრაასი წლის განმავლობაში,—ჰო, როდესაც ასეთი მოპყრობა ურიებთან გამუდმებულია სხვა ქალაქებში, მითომ რაღა ჩაჩიკაშვილია! მეც შესწამებს ცილს, ესეც დაამზადებს თავის ხუთ-ფუთიანს მუშტებს და გაილაშქრებს უხმო, უზნევარს, უსიტყვო და უძლურს წარმომადგენლებზე ისეთი ტანჯული ხალხისა, როგორიც არის ურიის ხალხი!...

ვინ გაჰბედავს, რომა თქვას ჩვენს ქალაქზე: «სირცხვილი რომ თავისი ულაქო და უჭუჭყო ისტორია ამღვრია ასეთი ბრიყვული საქციელით, როგორიც მოხდა 21—22 მარტს»!...

ამას ვერავინ ვერ იტყვის...

რილი» კი არა, არამედ სრულის თვისის გრძნობით, ხელ-შეუხებელის პერანგით და თვითონაც ხელ-შეუხებელი. ამბობდა მ—ძეზე, რომ «მამა და ნათესავი მეგონა, რა ულმერთო რამ ჰყოფილა და რა მითხრა ამ უბედურმაო»! მე ეს ბავშვი თავის დღეში არ მენახა, მაგრამ შორიდან ჩვენ ძალიან კარგად ვიცოდით ერთი მეორის ვინაობა; ამის გამო, ამ აღელვებულს წამში, მე მას უთხარი: «ნუ გეშინია, მე ესა და ეს კაცი ვარ, მე გიპატრონებ ამ ჟამსა და მამასავით თქვენს დაცვას ვეცდები». შეუთხარი ეს, თუ არა, იმ წამსვე მომვარდა და მე მოვკიდე ხელი და მივგვარე იმავე წუთს ამავე სასტუმრო სახლში მდგმურს ჩვენებური აზნაურიშვილის ცოლს სალომე ლოლუასას, რომელმაც, როგორც შვილი, მიიღო ეს ბოვში და მოასვენა თავისთან. იმ ღამეს ამის მეტი არა ყოფილა-რა. მეორე დღეს, დილით, მე ვაცნობე ბ. პოლიციის პრისტავს ჩავთარაძეს, რომელიც იმ წამსვე მოვიდა და ორივე ჩვენ შევედით სალომე ლოლუას ოთახში, სადაც ეს ბავშვი იყო. ეს ბავშვი დაგვხდა ჩაცმული სამგზავრო ტანისამოსით. ის იყო **15** წლის, მაღალის ტანის და ფრიად მშვენიერის შეხედულობის მქონი. მე **30** და **40** წლის წინედ, შეიძლება, მენახოს ჩვენში, და მაშინაც ძალიან ძვირად, მაგისთანა ყოვლის მხრით ბუნებისგან დაჯილდოებული და შემკული ადამიანი. უფრო განცვიფრებაში მოგვიყვანა ჩვენ მისმა ჰკვიანურმა ლაპარაკმა მშვენიერს ქართულს ენაზე. მან უამბო პრისტავს მოკლედ და მშვენივრად იმ ღამის ამბავი და პრისტავის კითხვაზე: სურს მას, თუ არა დაისაჯოს თ. მ. მ—ძე მისის შეურაცხების განზრახვისთვის? მან უპასუხა: «არა, არა მსურს,—ის მაინც ჩვენის ოჯახისთვის მკვდარია და ეყოფა, რაც დაემართა. ის ქმარია ჩემის დედის დისა, რომელიც დიდად მიყვარდა, და დასჯა მისი არ შემიძლია, არც საქმის შედგენა. მას ღმერთი მაინც მოჰკითხავს მისის მხეცურის განზრახვისთვის«. პრისტავს არა ჰქონდა უფლება პროტოკოლის შედგენისა. მ. მ—ძე, დილის მატარებლით წავიდა ქალაქს. ქალის ჭირის უფლები მოვიდენ იმ დილითვე და წაიყვანეს ქალი.

ეს ამბავი მოხდა ზემო-აღნიშნულთ პატიოსან პირთა თვალ-წინ და სწორედ ისეა, როგორც მე ვსწერ. აქ იხატება მხოლოდ მხეცური განზრახვა მ—ძესი აღსრულებაში მოუყვანელი და სხვა არაფერი. აქედგან მკითხველი ცხადად დაინახავს, რომ ბ. პრისტავს არცარა პროტოკოლი შეუდგენია და არცარა დაუხევია. საქმე იმ რიგად მოხდა, როგორადაც აწერილია, და ამიტომაც იმედი მაქვს, რომ მაგ უპატიოსნო და მხეცური საქმის განძრახვისათვის პასუხის-მგებელი საზოგადოების წინაშე უნდა იყოს თ. მ. მ—ძე.

იოსებ გაბუნია.

# ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

23 მარტს.

ნოვოჩერკასკი. 27 მარტს მოხდება აქ აზნაურთა კრება იმის გადასაწყვეტად—თუ როგორ იდღესასწაულონ მემკვიდრე ცესარევიჩის სრულ-წლოვანობის დღეობა; კრებამ უნდა ამოირჩიოს აგრეთვე დეპუტაცია, რომელმაც უნდა მიულოცოს მათ დიდებულებათა დღესასწაული, და აგრეთვე ყაზახის ჯარების ატამანიც.

ხარკოვი. ინტენდანტად ნამყოფი გენერლის ბუშენის საქმის შესახებ სამსჯავროში ბაასი გადასდვეს 17 მარტამდინ. გუშინ ბუშენს გული წაუვიდა სამსჯავროში.

გუშინ ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს გლეხი გვოზდევი, რომელსაც ასამართლებდნენ დუქნების ცეცხლის წაკიდებისთვის, რომელიც მოხდა შარშან; ამ ცეცხლის წაკიდებით ბევრი მანუფაქტურის დუქნები გადიწვა.

სამარა. აღმოაჩინეს, რომ აქაურს რკინის გზის კასას რამდენიმე ათი-ათასი მანათი აკლია. გზის კასირი თუმანოვი დაატუსაღეს.

ვარშავა. ვიბრანსკის, რომელსაც ბრალდებოდა მოკვლა ცხენის რკინი-გზის კონდუკტორის ცოლისა, თხუთმეტის წლით კატორგაში გაგზავნა გადუწყვიტეს; სამსჯავროში მოწმად იყო მოყვანილი ამ მკვლელობის თანაზიარი ბენტკოვსკი, რომელსაც პოზნანში სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს ამ მკვლელობისა და სხვა საქმეებისათვის.

პეშტი. უმაღლესმა სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა გამამართლებელი განაჩენი შესახებ უველა იმ ებრაელებისა, რომელთაც ბრალდებოდათ მოკვლა ქრისტიანის ქალისა ესფირა სოლიმონისა.

ნიუ-იორკი. სამხრეთის შტატების ქაღალდის-მკეთებელი ქარხანების წარმომადგენელთა კრებაზე გადასწყვიტეს—წარმოება შეამცირონ, რადგან საქმე რიგიანად ვერ მიდის.

24 მარტს.

პეტერბურგი. გამოცხადებულია აზრი სახელმწიფო რჩევისა შესახებ შესანახავ კასების გახსნისა ხაზინებთან.

გენერალი ჩერნიაევი დათხოვნილ იქმნა 4 თვით სამზღვარს გარეთ ავად მყოფობის გამო.

დუბლინი. აქ აღმოჩნდა შეთქმულობა, რომელსაც საგნადა ჰქონდა ციხიდამ დაჭერილი ფენიები განეთავისუფლებინა და ციხე აეფეთქებინა. ამ მიზეზის გამო ტუსაღები ინგლისში გადაიყვანეს.

პარიჟი. დენენში პირ შეკრულმა მუშებმა დიდი არეულობა მოახდინეს და მშვიდობიანობის დასამყარებლად მთავრობამ იქ ჯარები გაგზავნა.

# განცხადებანი


ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, იდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფაიფორისა, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაო, სკები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის სადგმეები, ჟინაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, გლიტკები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერპრუფები, საზნები, ჩუღქები, წინდები, სუფრები, საღფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—87)



# ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— „ |
| – — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— „ | — — 3— „ |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, ჟინაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი — სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ისდის. (100—2)



ინგლისის მაღაზიაში

## თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—9)



## მაკ-მასტერი

აქვე იყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.



საგლობუსო 

კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, უოვლის „ხელისათვის“—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხის იატაკისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეჭმენი, ზარები, ზინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრავები, საქმიო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. ა სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—68)


Дозв. ценз. Тифлисъ, 24 Марта 1884 г. (ექ. ხელაძის სტამბა) Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ბ. ჭართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.